საქართველოს სპორტკომიტეტში

VI СПАРТАКИАДА НАРОДОВ СССР 1975

ვემზადოთ საბჭოთა კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადისთვის!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 196 (5226)

1974 წ. 3 ოქტომბერი. ხუთშაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კომკავშირის ღვიძლი საქმე

ამას წინათ საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიურომ განიხილა იდეურ-პოლიტიკური და კულტურულ-მასობრივი მუშაობის საკითხი საქართველოს სსრ ნაკრებ გუნდებში, რომლებიც სსრ კავშირის ხალხთა VI საზაფხულო სპარტაკიადისთვის ემზადებიან. ბიუროს გადაწყვეტილებით, ნაკრებ გუნდებს მიამაგრეს საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკები, თბილისის კომკავშირის საქალაქო კომიტეტისა და რაიკომების მდივნები.

ამასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტში მოეწყო მიმაგრებული კომორგების, რესპუბლიკის ნაკრები გუნდების უფროსი მწვრთნელებისა და მწვრთნელების ერთობლივი თათბირი.

თათბირზე ინფორმაციით გამოვიდა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. ბაქრაძე.

კამათში მონაწილეობდნენ: საქართველოს სპორტკომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე დ. პერტენავა, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგე ო. სიამაშვილი, „ბურევესტნიკის" რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე ნ. აბათიანი, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ფიზიკური კულტურისა და სპორტის განყოფილების გამგე ი. ბაცელაშვილი, ჟურნალისტი ა. გოგელია, სპორტკომიტეტის მთავარი ექიმი ნ. ავალიანი, მთავარი მწვრთნელი ხელბურთში ი. ფხაკაძე და სხვ.

თათბირის შედეგები შეაჯამა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარემ ფ. მახარაძემ.

## ა. ქიბროწაშვილი — საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი

1965 წელი. მადრიდი. ევროპის ძიუდოისტთა პირველობის შინაარსში რამდენიმე მნიშვნელოვანი რეფორმა მოხდა. მათ შორის უმთავრესი ორი წონითი კატეგორიის დამატებაა. მანამდე, 1952 წლიდან მოყოლებული, კონტინენტის უძლიერესი ძიუდოისტები მსუბუქ, საშუალო, მძიმე და აბსოლუტურ კატეგორიებში ასპარეზობდნენ. ახლა მათ კიდევ ორი წონა დაემატათ — ქვესაშუალო და ქვემძიმე.

ქვესაშუალო წონაში ევროპის პირველი ჩემპიონი გახდა ფრანგი ა. ბური. მანამდე იგი მსუბუქ წონაში გამოდიოდა და სამჯერ იყო კონტინენტის ჩემპიონი.

ქვემძიმე წონაში ოქროს მედალი ანზორ ქიბროწაშვილმა მოიგო, იმხანად ჩვენში საკმაოდ ცნობილმა სამბისტმა. ეს იყო ძიუდოს საბჭოური სკოლის მნიშვნელოვანი გამარჯვება. ქიბროწაშვილამდე ევროპის ჩემპიონის ტიტულს მხოლოდ ორი საბჭოთა ათლეტი ფლობდა — ა. ბონდარენკო საშუალო წონაში (1964 წ.) და ა. კიკნაძე აბსოლუტურ კატეგორიაში (1962 წ.).

ქიბროწაშვილი მას მერეც წარმატებით ასპარეზობდა სხვადასხვა ტურნირსა და ჩემპიონატში. მან საქვეყნოდ გაითქვა სახელი, ხოლო როცა აქტიურ სპორტს ჩამოსცილდა, მსაჯობა დაიწყო. გამოცდილი ოსტატი, რომელიც ჯერ კიდევ გუშინ ანცვიფრებდა სპეციალისტებს მაღალი ტექნიკითა და დახვეწილი ტაქტიკით, სულ მალე მოწინავე, საქმის მცოდნე და დახელოვნებულ არბიტრთა რიგებში ჩადგა. ქიბროწაშვილს არა ერთი საპასუხისმგებლო შეხვედრა უმსაჯია და მუდამ გამოირჩეოდა მახვილი თვალით, ობიექტურობით, მოქნილი აზროვნების უნარით.

ამას წინათ ანზორ ქიბროწაშვილმა მიიღო საერთაშორისო კატეგორიის მსაჯის წოდება. იგი სამსაჯოდაა მიწვეული ბელგიაში, სტუდენტთა მსოფლიო პირველობაზე (ეს ტურნირი ნოემბრის პირველ რიცხვებში ჩატარდება).

ნ. ახვლედიანი.

• • •

სურათზე: ა. ქიბროწაშვილი არბიტრის როლში.

მ. ზარგარიანის ფოტო.

## ახალი ამბები-74

● ლვოვი, 30 სექტემბერი. ამ ქალაქის გარეუბანში გუშინ გაიმართა „250-ანების" და „500-ანების" კლასებში მოტოკროსმენთა საკავშირო ჩემპიონატის დასკვნითი, მეოთხე ეტაპი. ოთხი ეტაპის ჯამში ქვეყნის ჩემპიონის ოქროს მედლები მოიხვეჭეს კიეველმა ვ. კავინოვმა და ლენინგრადელმა ვ. ხუდიაკოვმა.

● ჰალე, 1 ოქტომბერი. მოჭადრაკე ვაჟთა აქ დამთავრებულ საერთაშორისო ტურნირში I ადგილი დაიკავა მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა, რიგელმა დიდოსტატმა მ. ტალმა — 11,5 ქულა 15-დან. II ადგილზე გავიდა გდრ-ის წარმომადგენელი რ. კნააკი (10,5 ქულა), რომელმაც დიდოსტატის ნორმა შეასრულა. III ადგილზეა ი. სმეიკალი (ჩეხოსლოვაკია) — 10 ქულა. შეჯიბრების მეორე საბჭოთა მონაწილემ, დიდოსტატმა ვ. სავონმა 9,5 ქულით IV ადგილი დაიკავა.

● ვარშავა, 1 ოქტომბერი. პოლონეთის დედაქალაქში დამთავრდა ბალტიისპირეთის ქვეყნების ხელბურთელ ვაჟთა გუნდების საერთაშორისო შეჯიბრება. გაიმარჯვა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნულმა გუნდმა. II ადგილზე გავიდა სსრ კავშირის ნაკრები, ხოლო III — პოლონელთა კოლექტივი.

## კვლავ ევროპის „გულივერებმა" გაიმარჯვეს

ბრიუსელი, 1 ოქტომბერი. (საკ-დესი). „ძველი სამყაროს" კალათბურთელ ვაჟთა ნაკრებმა მესამე მატჩიც მოუგო ამერიკის ნაკრებს, ამჯერად ანგარიშით 103:90 (42:42). ეს ამხანაგური მატჩი დიდხანს თანაბარ ბრძოლაში მიმდინარეობდა. ჯერ იყო და, ევროპის გუნდი დაწინაურდა: მე-3 წუთისთვის იგი 7 ქულით (11:4) გავიდა წინ, მერე კი ამერიკელები დაწინაურდნენ — 18:17.

22-ე წუთისთვის სადემონსტრაციო დაფა აჩვენებდა ანგარიშს 53:50 ამერიკელთა სასარგებლოდ. და აი, სწორედ ამ მომენტში, როგორც რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი იტყობინება, ს. ბელოვის ჟამი დადგა. საბჭოთა კალათბურთელის ბრწყინვალე თამაშმა „ევროპელებს" ჯერ ანგარიშის გათანაბრების საშუალება მისცა, მერე კი წინაც გაიყვანა ისინი.

ორი კონტინენტის კალათბურთელები მეოთხე, დასკვნით შეხვედრას რომში ჩაატარებენ 4 ოქტომბერს.

შეგახსენებთ, რომ ამერიკის კონტინენტის ღირსებას იცავენ აშშ-ს, ბრაზილიის, პუერტო-რიკოს, მექსიკის, ურუგვაის, არგენტინისა და კანადის სპორტსმენები, ხოლო ევროპის გუნდში გამოდიან იუგოსლავიის, ესპანეთის, იტალიის, სსრ კავშირის, საბერძნეთისა და საფრანგეთის კალათბურთელები.

## დახმარება გაუწიეს

ახალი სასწავლო წლის დაწყებისას მაიაკოვსკის რაიონის სკოლებს მეთოდური დახმარება გაუწიეს რესპუბლიკის განათლების სამინისტროს ფიზიკური კულტურისა და სპორტის მეთოდური კაბინეტის მეთოდისტებმა — საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებულმა მასწავლებელმა, რესპუბლიკის ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებულმა მოღვაწემ ნ. სეფაშვილმა და მეთოდისტმა ნ. კაპლუნმა.

მეთოდისტები გაეცნენ რაიონის რამდენიმე სკოლაში ფიზკულტურის სწავლების საკითხს, დაესწრნენ გაკვეთილებს. შემდეგ ფიზაღზრდის მასწავლებელთათვის თათბირ-სემინარი მოაწყვეს. ამ სემინარზე მათ ილაპარაკეს სკოლაში ფიზკულტურის სწავლებაში ახალი ამოცანების შესახებ, იმაზე, თუ როგორ უნდა წარმართონ მეცადინეობები თანამედროვე მოთხოვნათა საფუძველზე.

თათბირის მონაწილენი დიდად კმაყოფილი დარჩნენ საქმიანი და პრაქტიკული დახმარებით.

ნ. ცინცაძე,
მაიაკოვსკის რაიონის ბავშვთა სპორტსკოლის დირექტორი, სპორტის ოსტატი.

## ფრენბურთელთა ზონალური...

გრძელდება საქართველოს VI საზაფხულო სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული ზონალური შეჯიბრებები ფრენბურთში.

გთავაზობთ 6 ოქტომბრის თამაშების კალენდარს:

**ვაჟები:** თეთრი წყარო—მცხეთა, თელავი — გარდაბანი, ბორჯომი — დუშეთი, ცაგერი — ჩხოროწყუ, მახარაძე — წყალტუბო, სამტრედია — ცხაკაია, ზესტაფონი — ვანი.

**ქალები:** მახარაძე — სამტრედია, თეთრი წყარო — თელავი.

თამაშები გაიმართება პირველად დასახელებულ მეტოქეთა მოედნებზე. 13 ოქტომბერს ეს გუნდები ხელმეორედ შეხვდებიან ერთმანეთს.

თამაში ყველგან 16 საათზე იწყება.



## გდრ-ის მძლავრი სპორტული ნაბიჯები

გდრ-ის არსებობის 25 წლის მანძილზე ფიზკულტურა და სპორტი მტკიცედ დამკვიდრდა ამ ქვეყნის ცხოვრებაში. სოციალისტურ გერმანულ სახელმწიფოში ყველა პირობაა შექმნილი მშრომელთა ჯანმრთელობის გაკაჟებისა და დასვენებისთვის, სპორტში აქტიური მეცადინეობისთვის ბავშვობიდან ხანდაზმულობამდე. ეს ყოველივე ნათქვამია გდრ-ის სპორტულ-ტანვარჯიშული გერმანული კავშირის პრეზიდენტის მანფრედ ევალდის წერილში, რომელიც გაზეთ „დოიჩეს შპორტ-ეხოს" ფურცლებზე დაიბეჭდა.

— მუშათა და გლეხთა ხელისუფლებამ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ხორცი შეასხა ფიზიკური კულტურის ღრმად ჰუმანურ იდეებს, რომელთა მიზანიცაა ადამიანის კეთილდღეობა, — წერს მ. ევალდი. იგი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მუშათა კლასის, ახალგაზრდობის, ყველა მშრომელის უფლება სპორტში მეცადინეობისა და ჰარმონიული განვითარებისა განმტკიცებულია რესპუბლიკის კონსტიტუციით.

ლოზუნგით „მზად ვარ შრომისა და სამშობლოს დაცვისთვის" დღეს გერმანული სპორტულ-ტანვარჯიშული კავშირის რიგებში, საწარმოებისა და საცხოვრებელი რაიონების სპორტულ ჯგუფებში, სასკოლო სპორტულ სექციებში გაერთიანებულია გდრ-ის თითქმის 7 მილიონი მოქალაქე.

განვლილი 25 წლის მანძილზე კავშირის წევრთა რიცხვი ოთხჯერ გაიზარდა. რესპუბლიკაში ერთ მილიონზე მეტი ბავშვი და მოზარდი აქტიურად მეცადინეობს სპორტში — ეს ხუთჯერ მეტია, ვიდრე გდრ-ის დაარსების წელს იყო. გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში 170 ათასი მწვრთნელი და 80 ათასი მსაჯია.

სოციალისტური ქვეყნების მხარდაჭერით გერმანიის დემოკრატიულმა რესპუბლიკამ ყველა დაბრკოლება გადალახა, ოლიმპიურ სარბიელზე გავიდა და დიდ წარმატებებსაც მიაღწია. 1972 წლის საპოროს „თეთრ ოლიმპიადაში" გერმანიის სოციალისტური სახელმწიფოს წარგზავნილებმა II ადგილი დაიკავეს გუნდურ ჩათვლაში, ხოლო იმავე წელს მიუნხენის ოლიმპიადაში III ადგილი ხვდათ. გდრ-ის წარმომადგენლები არჩეული არიან 79 მსოფლიო და ევროპულ გაერთიანებაში. განვლილ წლებში გდრ-ის ტერიტორიაზე 70 მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატი ჩატარდა.

გდრ-ის სპორტსმენებმა წლევანდელ მსოფლიო ჩემპიონატებში 68 მედალი დაისაკუთრეს.

— ჩვენი მიღწევები, — ხაზგასმით აღნიშნავს მ. ევალდი, — მნიშვნელოვნად განაპირობა იმ მრავალმხრივმა დახმარებამ, რასაც საბჭოთა კავშირი გვიწევს. ჯერ კიდევ გდრ-ის სპორტული მოძრაობის ჩამოყალიბების წლებში საბჭოთა ამხანაგებმა პრაქტიკულად გაგვაცნეს სოციალისტური ფიზკულტურის მშენებლობის კანონზომიერებანი, გვასწავლეს სპორტის მასობრიობისა და უმაღლესი ოსტატობისკენ მიმავალი გზები.

ბერლინი, 1 ოქტომბერი.

## [illegible] მოგვითხრობს

ROMA 74

# ყველა გზა რომში მიდის

## ლიდერები მუშათა კლუბში

კიშკუნმა და კოზაკევიჩმა ამოცანის გადაწყვეტას ორ-ორი ცდა მოანდომეს და როცა ტაბლოზე გამოჩნდა წარწერა: „სიმაღლე 540 სმ", ტრიბუნები გაირინდა. სამივე ოქროს მაძიებლისთვის ეს სიმაღლე მიუღწეველი გამოდგა. კალიომიაკი, რომელსაც ამ ტრიოდან ოქროს მედლის მოპოვების ყველაზე მეტი შანსი ჰქონდა, თავის შეცდომას ახლა მიხვდა, მაგრამ უკვე გვიან იყო თითზე კბენანი.

ყველა მოასპარეზე კიშკუნს შემოეხვია. ისინი ევროპის ჩემპიონატის 23 წლის დებიუტანტს გულთბილად ულოცავდნენ ოქროს მედალს. კოზაკევიჩს ვერცხლი ერგო, ისაკოვს — ბრინჯაო.

ვიდრე ჭოკით ხტომის სექტორში ეს მარათონული შეჯიბრება გრძელდებოდა, ბადროს ტყორცნის სარბიელზე შეგროვდა თერთმეტი ქალი, რომლებმაც საკვალიფიკაციო შეჯიბრებას თავი გაართვეს.

ოლიმპიურმა ჩემპიონმა და მსოფლიო რეკორდსმენმა ფ. მელნიკმა ოქროს მედალს პირველივე ცდაზე მხნედ შეუტია. როცა მოსკოველის ბადრო გაფრინდა, ათიათასობით მაყურებელი მიხვდა, რომ ეს მართლაც დიდოსტატური ნატყორცნი იყო და აღტაცების შეძახილი გააყოლა. „№ 804. მელნიკი (სსრკ). 69,00" — გამოისახა ტაბლოზე.

ახლა ყველამ ამ სარბიელს მიაპყრო მზერა — ძსოფლიო მიღწევის მოლოდინში არავის სურდა სარეკორდო ნატყორცნი მხედველობიდან გამორჩენოდა. მაგრამ რეკორდი კი არა, ამ შედეგის გაუმჯობესებაც ვერავინ შეძლო. განსაკუთრებით ცდილობდა რუმინელი ა. მენისი, მაგრამ მეხუთე ცდაზე იგი „მხოლოდ" ვერცხლის მედლამდე მივიდა — 64,62 მ.

უკვე 4 სექტემბერს ცნობილი გახდა, რომ 200 მეტრზე ვაჟთა რბენაში საბჭოთა სპორტსმენები მონაწილეობას არ მიიღებდნენ. ბორზოვმა ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა: ევროპის არც ერთ ჩემპიონატში სამ სახეობაში არ გამოვსულვარ, ვინაიდან ეს დიდ დატვირთვასთანაა დაკავშირებული. არც აქ დავარღვევ ტრადიციას მით უმეტეს, რომ მაინცდამაინც კარგ სპორტულ ფორმაში არ ვარ. გუნდს ჩემი დახმარება 4×100 მეტრზე ესტაფეტაში უფრო სჭირდებაო.

ეს ამბავი იტალიის პრესის წყალობით ელვის სისწრაფით გავრცელდა. მენეას აქციებმა საგრძნობლად აიწია, მაგრამ იტალიელს მაინც საკმაოდ ძლიერი მეტოქეები რჩებოდა: მ. ომერს (გფრ), ჰ. ბომბახს (გდრ), ი. არამეს (საფრანგეთი) და სხვებს ოქროს მედალი ისევე სურდათ, როგორც მენეას. იტალიელის უპირატესობა მხოლოდ ის იყო, რომ რომის ოლიმპიურ სტადიონზე ყველაზე მეტი გულშემატკივარი ჰყავდა.

...მენეა სტარტიდან ელვასავით მოწყდა და წუთის მეხუთედ დროში ფინიშთან მიიჭრა — 20,60. უსაზღვრო იყო მისი სიხარული, უსაზღვრო იმიტომაც, რომ მის გამარჯვებას სტადიონზე მოსული ორმოცდაათიათასამდე რომაელი ზეიმობდა.

სულ მალე კიდევ მედლების ერთ კომპლექტს გაუჩნდა პატრონი. ი. შევინსკაია არც 200 მეტრზე რბენაში დათმო პირველობა. „ვერცხლეული ელვა", რ. შტეკერი 0,17 წამით ჩამორჩა ჩეხ. ლ. მასლაკოვამ ცუდად როდი ირბინა — 23,31. მართალია, ნახევარფინალში ნაჩვენები შედეგი 0,04 წამით გააუმჯობესა, მაგრამ ამან მას საბოლოოდ მხოლოდ IV ადგილი არგუნა.

იმ დღეს თითქოს ყველაფერი „გრაფიკით" მიდიოდა. იგი მარტო ბირთვის კვრამი დაირღვა. ევროპის რეკორდსმენს, ლენინგრადელ ა. ბარიშნიკოვს, რომელიც ყველასგან განსხვავებული სტილით ასპარეზობდა, რაღაც არ გამოუდიოდა, ექვსი ფინალური ტყორცნიდან სამი გააფუჭა, საბოლოოდ კი IV ადგილს დასჯერდა (20,13 მ). წინ გაუშვა ჰ. ბრიზენიკი (გდრ) — 20,50, რ. რაიჰენბახი (გფრ) — 20,38, ჯ. კეიპსი (ინგლისი) — 20,21.

წინდღით სსრ კავშირის ნაკრების ლიდერები რომის ერთ-ერთ მუშათა კლუბში მიიწვიეს. „იტალია — სსრ კავშირის" მეგობრობის ორგანიზაციის აქტივისტთა ამ თაოსნობამ ქალაქის მშრომელთა ცხოველი ინტერესი გამოიწვია. შეხვედრა უაღრესად გულთბილ ვითარებაში ჩატარდა. მასპინძლებს ბევრი რამ აინტერესებდათ — რა გავლენას ახდენს ფიზკულტურა და სპორტი შრომისნაყოფიერების ზრდაზე, რა არის საერთაშორისო სარბიელზე საბჭოთა სპორტსმენების წარმატების საიდუმლო და სხვ. შეხვედრის მონაწილეთა იტალიის კომუნისტური პარტიის გაზეთ „უნიტა" დიდი ადგილი დაუთმო.

...წინ დაძაბული ბრძოლების კიდევ ორი დღეა. შაბათს, ჩემპიონატის ბოლოსწინა დღეს, პრეს-ცენტრში ცოტა ადრე შევიარეთ — ზამთრის სპორტზე ზოგი რამ გვაინტერესებდა. იტალიაში, განსაკუთრებით კი მის ჩრდილოეთში ხომ მეტისმეტად პოპულარულია სამთოსათხილამურო სპორტი. საბედნიეროდ, პრეს-ცენტრის ხელმძღვანელიც ამ სახეობის თაყვანისმცემელი ყოფილა და მიამბო:

— ალპებში ზამთრის სპორტის განვითარების შესანიშნავი ბუნებრივი პირობებია, უამრავი პირველხარისხოვანი ბაზის მოწყობაც შეიძლება, მაგრამ სახელმწიფო საამისოდ მაინცდამაინც თავს არ იწუხებს. სამაგიეროდ, ამ სამთო კურორტებსაც ჰყავთ პატრონები, რომლებიც საკმაო სარგებლობასაც ნახულობენ. ამ ბაზებზე ბევრი სიკეთეა — საბაგირო გზები, სასტუმროები, კაფეები, რესტორნები, ინვენტარის გამქირავებელი პუნქტები, მაგრამ ყველაფერი ეს ძალიან ძვირია და მშრომელთა ფართო ფენებისთვის — ხელმიუწვდომი.

ო. გელაშვილი.

(ჩვენი სპეც. კორ.).

რომი — თბილისი.

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. იხ. „ლელო" №№ 187, 188, 189, 191.

## ესეც ჩემპიონატია?!

### შეჯიბრება... ავტომანქანების შუქზე

თბილისის ზღვაზე ორი დღის განმავლობაში გასტანა საქართველოს პირველმა ჩემპიონატმა წყალსათხილამურო სპორტში. ასპარეზობის პროგრამაში იყო სლალომი, ფიგურული სრიალი და ტრამპლინიდან ხტომა.

შეჯიბრება უფრო საინტერესო, დაძაბული და მიმზიდველი რომ ყოფილიყო, ბელორუსიის ნაკრები გუნდის საუკეთესო სპორტსმენები — საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატები ი. პოტესი, ტ. რეცკაია, გოგონათა შორის ქვეყნის ჩემპიონი ტ. სტალნოვა, ქვეყნის აბსოლუტური ჩემპიონი ა. კადელინსკი, ვ. მელნიკი და სხვები მოიწვიეს. შეჯიბრებაზე დასასწრებად საბჭოთა კავშირის წყალსათხილამურო სპორტის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი ვ. ნოვოჟილოვიც კი ჩამოვიდა, მაგრამ სტუმრებს ვერაფერი მასპინძლობა გაუწიეს: რესპუბლიკის ჩემპიონის სახელისთვის ბრძოლის სურვილი მხოლოდ თბილისელებმა გამოთქვეს, რომელთა შორის უმეტესობა ვეტერანი იყო; სოხუმელი მოთხილამურეები არ ჩამოვიდნენ, ბათუმში კი ამ სახეობის სექცია დიდი ხანია დაიხურა.

ასეთი სამარცხვინო მასპინძლობა იმის შედეგია, რომ ამ სახეობის განვითარებისთვის რესპუბლიკის არც ერთი სპორტსაზოგადოება და უწყება არ ზრუნავს. გამონაკლისია რესპუბლიკის უმაღლესი სპორტული ოსტატობის № 1 სკოლა, სადაც რაღაც კეთდება.

ასეა თუ ისე, რესპუბლიკის პრესტიჟის დასაცავად ისევ ვეტერანები ო. გოცირიძე, თ. ჩხეიძე, გ. ყიასაშვილი და გ. ბაქანიძე გამოვიდნენ, რომელთა მხარდამხარ სცადეს 62-ე საშუალო სკოლის მოსწავლეებმა თ. კომახიძემ და თ. ალექსანდრიამ. ქალიშვილთა შორის მხოლოდ თბილისის 34-4 გახანგრძლივებული სკოლის მოსწავლე ნ. კუტიძე და ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტი ი. პრესაკოვა ვიხილეთ.

შეჯიბრების ორგანიზაციაც მოიკოჭლებდა. ტურნირი დანიშნულ დროზე არც ერთხელ არ დაწყებულა, ფიგურული სრიალი კი ღამით ჩატარდა ავტომანქანების შუქზე...

ასე უხეიროდ მოწყობილ შეჯიბრებაში აბსოლუტური ჩემპიონის სახელი მოიპოვა გ. ბაქანიძემ. ტრამპლინიდან ხტომა მოიგო გ. ყიასაშვილმა, სლალომი — თ. ჩხეიძემ, ფიგურული სრიალი — თ. კომახიძემ.

ლ. ხეცურიანი.

# როცა მალცევი „პარზ შუნებაზეა..."

ისევე როგორც ამ ორი წლის წინათ, სსრ კავშირისა და კანადის ჰოკეისტთა ნაკრები გუნდების შეხვედრა მოსკოვში 1 ოქტომბერს მსოფლიო ჩემპიონებმა ერთი შაიბის უპირატესობით მოიგეს. ამჯერად ანგარიში იყო 3:2 (1:0, 1:1, 1:1).

საბჭოთა ჰოკეისტებს შინ წითელი პერანგები ეცვათ, სტუმრებს — თეთრი. გუნდებმა მარტო ფორმები როდი გაცვალეს. „ნეკერჩხლის ფოთლების" შემადგენლობაში ვანკუვერში ჩატარებული ბოლო შეხვედრის შემდეგ ცვლილება მინიმალური იყო, მასპინძლებს კი თავდასხმის მეორე და მესამე რგოლების ხელახლა შედგენა მოუხდათ, ვინაიდან იაკუშევი და კაპუსტინი დაშავებული იყვნენ.

კანადის გუნდში თამაშობდნენ ჩივერსი, ტრამბლე — სტეპლტონი, ლეი — ხელვუდი, სმითი — შმირი, მაკკენზი — ლიაკრუა - ჰალი, გორდი ჰოუ — ბექსტრემი — მარკ ჰოუ, ული — ბერნიე — მაჰოვლიჩი, უებსტერი — უოლტონი — ჰენდერსონი.

სსრ კავშირის ნაკრები: ტრეტიაკი, გუსევი — ვასილიევი, მიხაილოვი — პეტროვი — ხარლამოვი, ლუტჩენკო — ტიურინი, ლებედევი — შადრინი — ბოდუნოვი, ციგანკოვი — შატალოვი, ვიკულოვი — ანისინი — მალცევი, კოტოვი.

მსაჯად მოწვეული იყო ვ. შუპეკი (პოლონეთი). მას ეხმარებოდნენ დ. ლებლონი (კანადა) და ს. გუშჩინი (სსრ კავშირი).

კანადელების საჯარიმო დრო 24 წუთი, საბჭოთა ჰოკეისტებისა — 10 წუთი.

სტუმრებმა, რომლებიც მოსკოვში მატჩის წინა საღამოს ჩამოვიდნენ, სამშაბათს დილით საწვრთნელი მეცადინეობა ჩაატარეს. მასპინძლებმა სპორტის სასახლის ყინულის სარბიელი მათ დაუთმეს, თვითონ კი „კრისტალის" საციგურაოზე ვარჯიშობდნენ.

მატჩი შეუპოვარ, უშელავათო ბრძოლაში ჩატარდა.

ევროპაში გამოფრენის წინ კანადელთა მწვრთნელმა ბილ ჰარისმა ტელეინტერვიუში განაცხადა: „...ჩემი საყვარელი მოთამაშე კვლავ ალექსანდრე მალცევია".

ჰოდა, სწორედ მალცევმა გაუჩინა ყველაზე მეტი თავსატეხი კანადელების მწვრთნელს. ამავე დროს სსრ კავშირის უფროსმა მწვრთნელმა ბ. კულაგინმა აღნიშნა: „ჩვენ გვაკმაყოფილებს თამაში ვიკულოვ — ანისინ — მალცევის ხელახლა ჩამოყალიბებული რგოლისა, რომელმაც თავისი „მიკრომატჩი" მოიგო ანგარიშით 2:0, რაც შეეხებათ სხვა სამეულებს, მათ შეეძლოთ უკეთ ეთამაშათ".

სწორედ მალცევმა მე-6 წუთზე, ანისინისა და ვიკულოვის მიერ გათამაშებული კომბინაციის შემდეგ, გახსნა ანგარიში. მერე თამაში დიდხანს საშუალო ტემპით გრძელდებოდა, მაგრამ ხანდახან ბრძოლა ზედმეტად მწვავდებოდა. განსაკუთრებით სტუმრები ხცოდავდნენ.

ჟურნალ „პუტეშესტვიე ვ სსრ"-ის რედაქციამ დააწესა პრიზი „მოსკოვის მატჩებში ყველაზე კორექტული კანადელი მოთამაშისთვის" — ათდღიანი ტურნე საბჭოთა კავშირში, პრიზის დამწესებლები ხუმრობით ამბობდნენ, გულით გვინდა, რომ პრიზი დარჩეს ჯონ მაკკენზის, რომელმაც ჯერ კიდევ კანადაში გამოთქვა სურვილი, ენახა არა მარტო მოსკოვი, არამედ სხვა საბჭოთა ქალაქებიცო. „კოვბოი" ჯონი დიდხანს კორექტულად თამაშობდა, მაგრამ 34-ე წუთზე წესი დაარღვია. მალე მალცევმა კარგად გამოიყენა რიცხობრივი უპირატესობა და მეორე გოლი გაიტანა. მესამე შაიბა გუსევმა გაიტანა 52-ე წუთზე.

კანადელთა ორივე შაიბა ჰოუს ოჯახს ეკუთვნის. გორდი ჰოუმ ანგარიში გაქვითა, როცა მეორე პერიოდის დაწყებიდან სულ 15 წამი იყო გასული, ხოლო მარკ ჰოუმ შაიბა გაიტანა ფინალურ სასტვენამდე 1 წუთითა და 50 წამით ადრე, კანადელთა რიცხობრივი უპირატესობის დროს.

2500 კანადელი გულშემატკივარი მხურვალედ უჭერდა მხარს თავის რჩეულებს, მაგრამ ამჯერად მასპინძლები მეტოქეებს ყოველმხრივ სჯობდნენ, მათ შორის ძალისმიერ ბრძოლაშიც.

მოსკოვის მატჩების გასაშუქებლად თხუთმეტი ქვეყნის სამასზე მეტმა ჟურნალისტმა მოიყარა თავი. მათ შორის 83 კანადელი ჰოკეის მიმომხილველია.

— შატალოვისა და ტიურინის გამოსვლის შემდეგ საბჭოთა გუნდის დაცვა უფრო საიმედო გახდა, — გვითხრა გაზეთ „ტორონტო სტარის" მიმომხილველმა ჯიმ პროუდფუტმა, — და, საერთოდ, თქვენი გუნდი დღეს უკეთეს შთაბეჭდილებას ახდენდა ძალისმიერ ბრძოლაში.

— საბჭოთა ჰოკეისტები ფიზიკურად უკეთ მომზადებულნი აღმოჩნდნენ, — თქვა ბობი ჰოლკოლმა, კანადის რადიოს კომენტატორმა, — და ამის წყალობით უფრო ძლიერად თამაშობდნენ.

ჟურნალისტებმა ამ შეხვედრის საუკეთესო მოთამაშეებად მიიჩნიეს მალცევი და ჩივერსი.

ახლა სსრ კავშირის ნაკრებს 6 ქულა აქვს, კანადის გუნდს — 4.

სსრ კავშირისა და კანადის ჰოკეისტთა შემდეგი მატჩები 3, 5 და 6 ოქტომბერს გაიმართება.

ვ. დვორცოვი,
ა. ლევინსონი.
(საკდესის კორ.).

მოსკოვი, 1 ოქტომბერი.

* * *

სურათზე: თამაშის მომენტი.

ნ. პრივალოვის ფოტო.
(გაზეთი „ტრუდი").



# „საბჭოთა ჰოკეისტები სჯობდნენ"

ნიუ იორკი, 2 ოქტომბერი. (საკდესი). ამერიკის პრესამ უდიდესი ინტერესი გამოიჩინა კანადელი პროფესიონალი ჰოკეისტებისა და მსოფლიო ჩემპიონის — სსრ კავშირის ნაკრები გუნდის მატჩისადმი. თუ კანადური სერიის დროს ადგილობრივი პრესა (როგორც ჩანს, კონკურენციისა და ჰოკეის ეროვნული ლიგის წინაშე ქედმოხრის გამო. ეს უკანასკნელი მეტოქეობას უწევს ჰოკეის მსოფლიო ასოციაციას, რომლის წევრებისგანაც დაკომპლექტდა კანადის ნაკრები) თავს არ იწუხებდა მატჩების დაწვრილებით გაშუქებით, ახლა მოსკოვის სერიის შეხვედრათა დაწყებამ მდგომარეობა კარდინალურად შეცვალა. კონკურენცია კონკურენციად რჩება, მაგრამ „ნეკერჩხლის ფოთლების" მინდვრებზე საერთო „საყაიმო" ანგარიშის შემდეგ დღის წესრიგში დადგა უკვე კანადის პროფესიული ჰოკეის პრესტიჟის საკითხი (ხომ არ შეიძლება დავივიწყოთ, რომ კანადის ამჟამინდელი ნაკრების ყველა წევრი წარსულში ეროვნული ლიგის მოთამაშე იყო. ისინი დიდი გასამრჯელოსთვის გადავიდნენ ჰოკეის მსოფლიო ასოციაციაში).

სწორედ ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ „ნიუ იორკ ტაიმსმა" დღევანდელ ნომერში თავისი სპორტული განყოფილების პირველ სვეტში დაბეჭდა მოსკოვიდან მიღებული ცნობა სათაურით: „საბჭოთა ექვსეული" ამარცხებს კანადელებს — 3:2". „საბჭოთა ეროვნულმა ნაკრებმა მყისვე ხელთ იგდო ლიდერობა, მერე კი კანადის გუნდს აჯობა არა მარტო ციგურებით რბენაში, არამედ თავისი კლასითაც", — აღნიშნავს „ნიუ იორკ ტაიმსი". გაზეთი წერს, რომ გუშინ „არც ერთ გუნდს არ უთამაშია შთამბეჭდავად" და აღნიშნავს: „საბჭოთა ჰოკეისტები მაინც მთელი თამაშის განმავლობაში სჯობდნენ მეტოქეს. გამონაკლისი იყო მხოლოდ კანადელთა ხანმოკლე აფეთქება, რომლის დროსაც ვეტერანმა გორდი ჰოუმ და მისმა ვაჟმა მარკმა ორი გოლი გაიტანეს".

„კანადისა და სსრ კავშირის გუნდების პირველი მატჩის ანგარიში შეიძლებოდა, უბრალოდ, სამარცხვინო ყოფილიყო კანადელებისთვის, ბრწყინვალედ რომ არ ეთამაშა მეკარე ჯერი ჩივერსს, რომელმაც ბევრჯერ იხსნა „ნეკერჩხლის ფოთლების" ღირსება, და რუსებს ორი აშკარა გოლი რომ გაეტანათ ცარიელ კარში", — წერს „ნიუ იორკ ტაიმსი". გაზეთმა აღნიშნა, რომ ამჯერად საბჭოთა ნაკრების დაცვითი ხაზი საიმედოდ თამაშობდა. „კანადელთა თავდასხმა უძლური იყო რუსი მცველების წინაშე. გამონაკლისი იყო მხოლოდ მესამე პერიოდის რამდენიმე მომენტი, როცა კანადელებს რიცხობრივი უპირატესობა ჰქონდათ".

„მთელი პირველი პერიოდის განმავლობაში კანადელები ისე სრიალებდნენ, თითქოს შემდგომი მატჩებისთვის ინახავდნენ თავს. მათს გუნდში გამოცოცხლება ვერ შეიტანა გ. ჰოუს მიერ მეორე პერიოდის დაწყებისას გატანილმა გოლმაც კი. კანადელები თვითონვე დაისაჯნენ უხეში თამაშისთვის, რასაც მათი გუნდის წევრების გაძევება მოჰყვა", — წერს „ნიუ იორკ ტაიმსი". გაზეთი აღნიშნავს მოსკოვის პირველი მატჩის დიდოსტატის ა. მალცევისა და ვ. ტრეტიაკის ბრწყინვალე თამაშს, ვ. ხარლამოვის ვირტუოზობას.

# დინამოელები პოლონეთში

როგორც ჩვენი გაზეთის წინა ნომერში ვიტყობინებოდით, პოლონეთში სტუმრად იყვნენ თბილისის „დინამოს" ფეხბურთელები, რომლებმაც ორი ამხანაგური საერთაშორისო მატჩი ჩაატარეს ადგილობრივ გუნდებთან.

დინამოელები პოლონეთში მიიწვიეს ფაშიზმისგან ამ ქვეყნის გათავისუფლების 30 წლისთავთან დაკავშირებით. მანამდე აქ ზეიმში მონაწილეობდნენ სხვადასხვა ქვეყნიდან მიწვეული კალათბურთელები, ხელბურთელები, მოჭიდავეები და სპორტის სხვა სახეობათა წარმომადგენლები. შემდეგ რიგი ფეხბურთელებზე მიდგა.

ჩვენ ვთხოვეთ გუნდის მწვრთნელს, სპორტის ოსტატ ხ. კუტივაძეს მოკლედ ეამბნა „ლელოს" მკითხველთათვის ამ მგზავრობის შესახებ.

— პირველი მატჩი, — თქვა კუტივაძემ, — გვქონდა კრაკოვში, ადგილობრივ „ვისლასთან". ესაა ცნობილი გუნდი, ერთ-ერთი უძლიერესი კოლექტივი თავის ქვეყანაში, რომელშიც გამოდის ეროვნული ნაკრების რამდენიმე მოთამაშე, მათ შორის შიმანოვსკი, მუსიალი, კნეჩიკი, კაფკა... „ვისლა" ახლა I ადგილზეა პოლონეთის ჩემპიონატში.

მატჩს ცუდი ამინდი დაესწრო: გადაუღებლად წვიმდა, ციოდა. მიუხედავად ამისა, თამაში საინტერესოდ მიმდინარეობდა. პირველი ტაიმი ფრედ დამთავრდა, შესვენების შემდეგ კი გაზდამ და სუროვეცმა გამოიყენეს ჩვენი შეცდომები და 2 გოლი გაიტანეს. „დინამო" ასეთი შემადგენლობით გამოდიოდა: გოგია, მუჯირი, ჰელიძე, ხურცილავა, ებრალიძე, გავაშელი, ასათიანი, მჭედლიშვილი (გ. მაჩაიძე), რეხვიაშვილი, გ. ნოდია, წერეთელი (ესებუა).

ჩვენს გუნდს ამ ტურნეში აკლდნენ ძიძიაშვილი, მ. მაჩაიძე, გუცაევი, რომლებიც სსრ კავშირის პირველ და ახალგაზრდულ ნაკრებ კოლექტივებში გაიწვიეს, აგრეთვე, ყიფიანი, რომელიც ოპერაციის შემდეგ ჯერ არ ჩამდგარა მწყობრში, და მეკარე გაგოშიძე. მას ახლახან მამა გარდაეცვალა.

მეორე თამაში გვქონდა კოშალინში, [illegible] „[illegible]ასთან", რომელიც [illegible] გამოდის. [illegible] შობლით. ეს გუნდი სიძლიერით შორს დგას „ვისლასგან" და შეგვეძლო დიდი უპირატესობით მოგვეგო, მაგრამ ვერ გამოვიყენეთ ბევრი ხელსაყრელი მომენტი და დავჯერდით ესებუას მიერ 65-ე წუთზე გატანილ ერთადერთ გოლს. ვითამაშეთ ასეთი შემადგენლობით: გოგია, გავაშელი, ჰელიძე, ხურცილავა, ებრალიძე, გ. მაჩაიძე (წერეთელი), ასათიანი, მჭედლიშვილი, ესებუა, გ. ნოდია, ლ. ნოდია.

პოლონელებმა ძალიან სტუმართმოყვრულად მიგვიღეს თავიანთ ზეიმზე, დაგვათვალიერებინეს ბევრი ღირსშესანიშნაობა. მატჩებს საკმაოდ ესწრებოდა მაყურებელი.

**ტ. ფუქიაშვილი.**




## სსრ კავშირის პირველობა

### I ლიგა

1 ოქტომბერს გაიმართა მორიგი ტურის მატჩები.

ქუთაისის ტორპედოელები მინსკში შეხვდნენ ადგილობრივ „დინამოს". დაძაბული ბრძოლის შემდეგ გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 2:1.

სხვა შეხვედრები ასე დამთავრდა: ასკ (დონის როსტოვი) — „ყუბანი" (კრასნოდარი) 2:1, „სპარტაკი" (ორჯონიკიძე) — „სპარტაკი" (ნალჩიკი) 3:2, „შინიკი" (იაროსლავლი) — „სტროიტელი" (აშხაბადი) 2:2, „ტექსტილშჩიკი" (ივანოვო) — „პამირი" (დუშანბე) 3:2, „ლოკომოტივი" (მოსკოვი) — „ნეფთჩი" (ბაქო) 2:0, „კრილია სოვეტოვი" (კუიბიშევი) — „ტავრია" (სიმფეროპოლი) 3:2, „ზვეზდა" (პერმი) — „სპარტაკი" (ივანო-ფრანკოვსკი) 0:0, „ურალმაში" (სვერდლოვსკი) — „მეტალურგი" (ლიპეცკი) 0:1, „კუზბასი" (კემეროვო) — „მეტალურგი" (ზაპოროჟიე) 1:0.

#### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 8 ოქტომბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ლოკ." | 32 | 19 | 6 | 7 | 58—26 | 44 |
| „დინამო" | 32 | 17 | 8 | 7 | 43—29 | 42 |
| „კრ. სოვ." | 32 | 17 | 7 | 8 | 54—35 | 41 |
| ასკ | 32 | 15 | 9 | 8 | 45—29 | 39 |
| „ნეფთჩი" | 32 | 15 | 9 | 8 | 40—24 | 39 |
| „კუზბასი" | 31 | 17 | 4 | 10 | 41—35 | 38 |
| „ტავრია" | 32 | 15 | 5 | 12 | 58—43 | 35 |
| „შინიკი" | 32 | 11 | 11 | 10 | 43—40 | 33 |
| „ტორპ." | 32 | 12 | 9 | 11 | 30—35 | 33 |
| „სპარტაკი" (ნალ.) | 32 | 9 | 13 | 10 | 30—33 | 31 |
| „ზვეზდა" | 32 | 11 | 9 | 12 | 43—50 | 31 |
| „ურალ." | 32 | 11 | 8 | 13 | 31—39 | 30 |
| „სპარტაკი" (ორჯონ.) | 33 | 13 | 4 | 16 | 38—55 | 30 |
| „მეტალურგი" (ზაპ.) | 32 | 10 | 9 | 13 | 32—38 | 29 |
| „პამირი" | 31 | 8 | 11 | 12 | 38—40 | 27 |
| „სტრ." | 32 | 9 | 9 | 14 | 34—43 | 27 |
| „სპარტაკი" (ივ.-ფრ.) | 33 | 6 | 14 | 13 | 29—37 | 26 |
| „მეტალურგი" (ლიპ.) | 33 | 8 | 9 | 16 | 30—42 | 25 |
| „ყუბანი" | 33 | 8 | 9 | 16 | 48—66 | 25 |
| „ტექსტ." | 32 | 5 | 7 | 20 | 31—57 | 17 |

## საქართველოს პირველობა

გაიმართა მორიგი შეხვედრები.

### I ჯგუფი

● „ეგრისი" (ცხაკაია) — „მეშახტე" (ტყიბული) 0:0. მსაჯი ლ. ლონლაძე (თბილისი).

მიმდინარეობდა 55-ე წუთი, როცა გვერდითს მსაჯთან კამათისთვის გაფრთხილება მიეცა ცხაკაიელ ფეხბურთელს რ. ხოფერიას. მატჩის შემდეგ ხოფერიამ განაგრძო ხულიგნობა, რისთვისაც მას ჩამოერთვა მონაწილის პირადი ბარათი. წესრიგის დამრღვევის საკითხს განიხილავს სპორტტექნიკური კომისია.

● „მეტალურგი" (ზესტაფონი) — „ვარძია" (ასპინძა) 1:1. მსაჯი გ. პოლოხიანი (სოხუმი).

პირველ წარმატებას მიაღწიეს სტუმრებმა (ჯაში), საპასუხო ბურთი კი შეხვედრის დასასრულს გაიტანა სხილაძემ. აღსანიშნავია, რომ ზესტაფონელმა კიკნაველიძემ ვერ გამოიყენა 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმა.

უდისციპლინო საქციელისთვის გაფრთხილებული არიან ასპინძელი ფეხბურთელები ი. ხაჩატურიანი და თ. ჯაში.

● „შუქურა" (ქობულეთი) — „ამირანი" (ოჩამჩირე) 0:0. მსაჯი ო. ალავიძე (თბილისი).

● „განთიადი" (თბილისი) — „სალხინო" (გეგეჭკორი) 0:1. მსაჯი ა. სიანოზოვი (თბილისი).

ბურთი გაიტანა ზ. დანელიამ.

● „კახეთი" (თელავი) — „ქართლი" (გორის რაიონი) 2:2, მსაჯი თ. ლაცაბიძე (თბილისი).

● „კოლხეთი" (ხობი) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 2:1. მსაჯი მ. სიჭინავა (გუდაუთა).

ანგარიში 35-ე წუთზე გახსნა ხობელმა გვასალიამ, შესვენების შემდეგ კი ჯოჯუამ მეორე ბურთი გაიტანა მეტოქის კარში. სტუდენტებმა მხოლოდ ის შეძლეს, რომ თავი დააღწიეს „მშრალი" ანგარიშით დამარცხებას (სართანია).

გვერდითს მსაჯთან შეკამათებისთვის გაფრთხილებულია თბილისელი თ. ჭანტურია.

● „ივერია" (ხაშური) — „სპარტაკი" (ცხინვალი) 1:0. მსაჯი ნ. ამირეჯიბი (თბილისი).

ხაშურელებმა გაიმარჯვეს რეხვიაშვილის მიერ 50-ე წუთზე გატანილი ბურთის წყალობით.

უდისციპლინო საქციელისთვის გაფრთხილებულია ცხინვალელი ი. გაბიევი.

● „ლოკომოტივი" (თბილისი) — „დინამო" (სოხუმი) 1:0. მსაჯი ა. აბულაშვილი (თბილისი).

ბურთი სოხუმელთა კარში მატჩის ბოლო წუთზე გაიტანა მახარაძემ.

● „სულორი" (ვანი) — ასკ (თბილისი) 2:0. მსაჯი დ. აბუთიძე (ქუთაისი).

ორივე ბურთი ლორთქიფანიძემ გაიტანა.

* * *



ს უ რ ა თ ზ ე: თბილისის „ლოკომოტივისა" და სოხუმის „დინამოს" შეხვედრის მომენტი.

მ. ზარგარიანის ფოტო.

### II ჯგუფი

#### I ზონა

„არაგვი" (დუშეთი) — „ყინწვისი" (ქარელი) 5:2, „არაგვი" (დუშეთი) — „კოლმეურნე" (ბორჯომი) 5:3, „განთიადი" (კასპი) — „მესხეთი" (ახალციხე) 3:0, „სამცხე" (აწყური) — „განახლება" (ადიგენი) 3:2, „ალაზანი (გურჯაანი) — „კოლმეურნე" (ბორჯომი) 4:2, „ჰერეთი" (ლაგოდეხი) — „ყინწვისი" (ქარელი) 2:0, „განთიადი" (კასპი) — „არაგვი" (დუშეთი) 4:1.

#### II ზონა

ხის დამმუშავებელი კომბინატი (სამტრედია) — „მზიური" (გალი) 3:1, „სქური" (წალენჯიხა) — „ბახმარო" (ჩოხატაური) 4:2, „სამგურალი" (წყალტუბო) — „ჩიხურა" (საჩხერე) 1:1.

#### გათამაშების ცხრილები

##### I ჯგუფი

მდგომარეობა 8 ოქტომბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „მაღარ." | 27 | 17 | 4 | 6 | 53—17 | 38 |
| „მეტალურგი" (რუსთავი) | 23 | 15 | 6 | 2 | 49—15 | 36 |
| ასკ (თბ.) | 28 | 15 | 6 | 7 | 58—36 | 36 |
| „სალხინო" | 27 | 12 | 11 | 4 | 42—23 | 35 |
| „დინამო" | 28 | 14 | 6 | 8 | 53—30 | 34 |
| „ეგრისი" | 28 | 13 | 6 | 9 | 41—30 | 32 |
| „ლოკომ." | 27 | 12 | 8 | 7 | 39—31 | 32 |
| ფიზკ. ინსტ. | 25 | 12 | 6 | 7 | 48—37 | 30 |
| „ამირანი" | 27 | 12 | 6 | 9 | 31—29 | 30 |
| „კახეთი" | 28 | 11 | 7 | 10 | 44—45 | 29 |
| „მეტალურგი" (ზესტაფ.) | 27 | 10 | 8 | 9 | 42—38 | 28 |
| „შუქურა" | 28 | 9 | 8 | 11 | 34—30 | 26 |
| „ქართლი" | 27 | 10 | 6 | 11 | 46—44 | 26 |
| „კოლხეთი" | 28 | 8 | 10 | 10 | 35—39 | 26 |
| „მეშახტე" | 28 | 10 | 6 | 12 | 35—47 | 26 |
| „განთიადი" | 28 | 6 | 7 | 15 | 32—51 | 19 |
| „ვარძია" | 28 | 7 | 4 | 17 | 27—48 | 18 |
| „სულორი" | 28 | 6 | 5 | 17 | 27—76 | 17 |
| „ივერია" | 28 | 6 | 4 | 18 | 27—59 | 16 |
| „სპარტაკი" | 28 | 4 | 4 | 20 | 29—67 | 12 |

##### მეორე ჯგუფი

I ზონა

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დურუჯი" (ყვარელი) | 17 | 12 | 4 | 1 | 54—13 | 28 |
| „მესხეთი" (ახალციხე) | 19 | 11 | 2 | 6 | 47—29 | 24 |
| „განთიადი" (კასპი) | 19 | 10 | 3 | 6 | 42—27 | 23 |
| „ალაზანი" (გურჯაანი) | 18 | 9 | 5 | 4 | 50—36 | 23 |
| „ჰერეთი" (ლაგოდეხი) | 19 | 9 | 4 | 6 | 35—27 | 22 |
| „მადნეული" (ბოლნისი) | 18 | 7 | 6 | 4 | 31—30 | 21 |
| „განახლება" (ადიგენი) | 19 | 7 | 5 | 7 | 25—30 | 19 |
| „კოლმეურნე" (ბორჯომი) | 18 | 7 | 3 | 8 | 35—40 | 17 |
| „არაგვი" (დუშეთი) | 18 | 6 | 4 | 8 | 37—48 | 16 |
| „ყინწვისი" (ქარელი) | 18 | 5 | 2 | 11 | 31—39 | 12 |
| „სამცხე" (აწყური) | 19 | 3 | 5 | 11 | 29—61 | 11 |
| „ცისკარი" (თიანეთი) | 18 | 1 | 2 | 15 | 14—50 | 4 |

II ზონა

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „იმერეთი" (თერჯოლა) | 16 | 12 | 2 | 2 | 51—19 | 26 |
| „სქური" (წალენჯიხა) | 18 | 9 | 4 | 5 | 39—23 | 22 |
| „კოლმეურნე" (წულუკიძე) | 14 | 8 | 4 | 2 | 28—14 | 20 |
| „გიგანტი" (ლანჩხუთი) | 14 | 7 | 4 | 3 | 32—14 | 18 |
| ხის დამმუშ. კომბ. (სამტრედია) | 17 | 7 | 4 | 6 | 41—43 | 18 |
| „ბახმარო" (ჩოხატაური) | 16 | 5 | 4 | 7 | 30—30 | 14 |
| „სამგურალი" (წყალტუბო) | 17 | 3 | 8 | 6 | 27—35 | 14 |
| „მზიური" (გალი) | 16 | 4 | 6 | 6 | 26—34 | 14 |
| „კოლმეურნე" (გულრიფში) | 15 | 4 | 3 | 8 | 20—35 | 13 |
| „ჩიხურა" (საჩხერე) | 16 | 4 | 3 | 9 | 18—35 | 11 |
| „განთიადი" (აბაშა) | 17 | 1 | 6 | 10 | 18—48 | 8 |

### II ლიგა III ზონა

## ოქტომბრის კალენდარი

3. „დინამო" (ბათუმი) — „ფოლადი" (სუმგაითი), „დილა" (გორი) — „დინამო" (კიროვაბადი), „ლოკომოტივი" (სამტრედია) — „შირაკი" (ლენინაკანი), „მერცხალი" (მახარაძე) — „ლორი" (კიროვაკანი), „გურია" (ლანჩხუთი) — „დინამო" (ზუგდიდი), „ისკრა" (სმოლენსკი) — „დინამო" (ვოლოგდა), „დინამო" (ბრიანსკი) — „ხიმიკი" (ნოვომოსკოვსკი), „ურალანი" (ელისტა) — „ხიმიკი" (ძერჟინსკი), „დინამო" (სტავროპოლი) — „ტორპედო" (ვლადიმირი).

10. „დინამო" (კრასნოდარი) — „კოლხეთი" (ფოთი), „ფოლადი" — „გურია", „ლორი" — „კალიტვა" (ბელაია კალიტვა), „შირაკი" — „დინამო" (ზუგ.), „ტორპედო" — „ლოკომოტივი", „ხიმიკი" (ძ.) — „დილა", „ხიმიკი" (ნ.) — „მერცხალი", „დინამო" (ვოლ.) — „დინამო" (ბათ.), „ურალანი" — „ისკრა", „დინამო" (სტ.) — „დინამო" (ბრ.).

14. „დინამო" (კრ.) — „გურია", „ფოლადი" — „კოლხეთი", „ლორი" — „დინამო" (ზუგ.), „შირაკი" — „კალიტვა", „ტორპედო" — „დილა", „ხიმიკი" (ძ.) — „ლოკომოტივი", „ხიმიკი" (ნ.) — „დინამო" (ბათ.), „დინამო" (ვოლ.) — „მერცხალი", „ურალანი" — „დინამო" (ბრ.), „დინამო" (სტ.) — „ისკრა".

18. „კალიტვა" — „ფოლადი", „დინამო" (ზუგ.) — „დინამო" (კრ.), „კოლხეთი" — „ლორი", „გურია" — „შირაკი", „ტორპედო" — „მერცხალი", „ხიმიკი" (ძ.) — „დინამო" (ბათ.), „ხიმიკი" (ნ.) — „ლოკომოტივი", „დინამო" (ვოლ.) — „დილა".

22. „კალიტვა" — „დინამო" (კრ.), „დინამო" (ზუგ.) — „ფოლადი", „კოლხეთი" — „შირაკი", „გურია" — „ლორი", „ტორპედო" — „დინამო" (ბათ.), „ხიმიკი" (ძ.) — „მერცხალი", „ხიმიკი" (ნ.) — „დილა", „დინამო" (ვოლ.) — „ლოკომოტივი", „ისკრა" — „დინამო" (ბრ.), „დინამო" (სტ.) — „ურალანი".

## ინალი — 5 ოქტომბერს

მიიწურა ფიზიკური კულტურის კოლექტივების ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო თასის გათამაშება. სათამაშო დარჩა ფინალური მატჩი რუსთავის „მეტალურგსა" და კალუგის „ზარიას" შორის.

ეს მატჩი 5 ოქტომბერს გაიმართება მინერალურ წყლებში.

## „სოვეტსკი სპორტის" პრიზზე

როგორც ცნობილია, ჰოკეისტთა ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი გაზეთ „სოვეტსკი სპორტის" პრიზზე წლეულს ახალი ფორმულით ჩატარდა. ეს ასპარეზობა დამთავრდა — გამოვლინდა გამარჯვებული ოთხივე ჯგუფში, თითოეულს გადაეცა გაზეთის პრიზი.

ლენინგრადში I ადგილი დაიკავა ადგილობრივმა ასკ-მ, რომელმაც ხუთივე შეხვედრა მოიგო, ესე იგი 10 ქულა დააგროვა (შაიბების ბალანსი: 34—14). მომდევნო ადგილებზე გავიდნენ: „ხიმიკი" (ვოსკრესენსკი), ცსკა, მოსკოვის სამხედრო ოლქის ასკ (კალინინი), „ტინგსრიუდი აიფ" (შვეცია), „შტორმი" (ლენინგრადი).

კიევში პირველი იყო სსრ კავშირის ჩემპიონი — მოსკოვის „კრილია სოვეტოვი". მანაც წაუგებლად განვლო ტურნირი, ოღონდ ერთი მატჩი ფრედ დაამთავრა. გამარჯვებულს 9 ქულა აქვს (შაიბების ბალანსი: 26—11). შემდეგ მოდიან: „ტრაქტორი" (ჩელიაბინსკი), „სოკოლი" (კიევი), „დინამო" (გდრ), „ავტომობილისტი" (სვერდლოვსკი), რუმინეთის ნაკრები.

რიგის ჯგუფში გამარჯვებულ მოსკოვის „სპარტაკსაც" არც ერთი თამაში არ წაუგია, მაგრამ, ჩემპიონის მსგავსად, მანაც ერთი მატჩი ფრედ დაამთავრა. მასაც 9 ქულა აქვს (32—14). მომდევნო ადგილებზე არიან: „დინამო" (რიგა), „ლოკომოტივი" (მოსკოვი), „მოლოტი" (პერმი), „კრისტალი" (სარატოვი), „ლატვიის ბერზსი" (რიგა).

ხუთივე მატჩი მოიგო მინსკის ტურნირში გამარჯვებულმა გორკის „ტორპედომ" — 10 ქულა (40—19). მას მიჰყვებიან: „სიბირი" (ნოვოსიბირსკი), „ტორპედო" (მინსკი), „დინამო" (მოსკოვი), „ბინოკორი" (ტაშკენტი), „სალავათ იულაევი" (უფა).

## ბოლო მედლებიც განაწილდა

სროლაში 41-ე მსოფლიო ჩემპიონატის ბოლო დღეს ბერნში გაიმართა ვაჟთა პირადი პირველობა მრგვალ სტენდზე სროლაში. მანამდე გუნდური ასპარეზობის ბედი უკანასკნელმა სერიამ გადაწყვიტა: სსრ კავშირის კოლექტივმა (ი. ცურანოვი, ტ. ჟღენტი, ა. ალიევი და ვ. ანდრეევი) ამ სერიაში 100-დან 97 ქულა მოაგროვა და საბოლოოდ ქულით აჯობა პოლონელებს.

პირად ტურნირში ადგილების გასა-

### საბჭოთა მსროლელების წარმატება

ნაწილებლად მონაწილეებმა კიდევ 50-50 სამიზნეს ესროლეს. ოქროს მედალი დაისაკუთრა პოლონელმა ვ. გავლიკოვსკიმ. მან 200-დან 198 ქულა მოაგროვა. ცურანოვი და ფინელი მ. რემესი მას ქულით ჩამორჩნენ. მათ შორის ვერცხლის მედლის მფლობელის გამოსავლენად დამატებითი სერია ჩატარდა. იგი ცურანოვმა მოიგო, ტ. ჟღენტმა 195 ქულით VI ადგილი დაიკავა.

ტყვიისა და სასტენდო სროლის საერთო ჯამში სსრ კავშირის სპორტსმენებმა 23 ოქროს, 11 ვერცხლისა და 8 ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრეს. ამერიკელებმა შესაბამისად 15, 15 და 11 მედალი მიიღეს. საერთო გუნდურ ჩათვლაში III ადგილი პოლონეთის ნაკრებს ხვდა — 3, 2 და 2.

ეროვნული ბიბლიოთეკა




**მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ფინალური მატჩი**

# მეშვიდე პარტია

**კორჩნოი — კარპოვი**

ინგლისური დასაწყისი

1. c4 მf6 2. მc3 e6 3. მf3 b6 4. e4 კb7 5. ლe2 კb4 6. e5 მg8 7. d4 მe7 8. ლd3 d5 9. ed cd 10. a3 კ:c3+ 11. ლ:c3 0—0 12. b4 მd7 13. კe2 ეc8 14. 0—0 კa6 15. ლb3 d5 16. b5 კb7 17. cd კ:d5 18. ლb4 მg6 19. კg5 ლc7 20. ეfc1 ლb8 21. მd2 მf6 22. კ:f6 gf 23. g3 ეfd8 24. მf1 f5 25. მd2 ლb7 26. a4 ეd7 27. a5 ეdc7 28. ე:c7 ე:c7 29. ab ab 30. მc4 კ:c4 31. კ:c4 ლe4 32. კf1 ეc2 33. ლb1 მe7 34. ლd1 ეb2 35. კg2 ლc2 36. ლ:c2 ე:c2 37. h3 ეb2 38. კc6 f4 39. gf მf5 40. ეd1 მe7 41. კd7 მფf8 42. ეa1 ეb4 43. ეa8+ მფg7 44. ეa7 მფf6 45. d5 (ჩაწერილი სვლა) მ:d5 46. კe8 ე:f4 47. ე:f7+ მფe5 48. ე:h7. ყაიმი.

# მატჩის გარშემო

### უმაღლესი საჭადრაკო წოდება

მატჩზე 200-ზე მეტი ჟურნალისტია აკრედიტებული. ახლა მოსკოვში ათასობით კანადელი ტურისტი ჩამოდის და სასტუმროში ოთახის შოვნა ძნელი საქმეა. მიუხედავად ამისა, ესტონელი ოსტატი ვ. ხეუერი დაუბრკოლებლად შეასახლეს სასტუმროში. მის მიმართვაში ეწერა: საერთაშორისო კლასის დიდოსტატი (!).

### ჭადრაკის იეროგლიფები

როცა სვეტებიანი დარბაზიდან ლენინგრადის მ. ჩიგორინის სახელობის საჭადრაკო კლუბში ტელექსით გადასცეს I პარტიის პირველი 8 სვლა, იქიდან მოულოდნელად იკითხეს: „ვინ აკეთებს სვლებს?"

პასუხი ბუნებრივი იყო: „კორჩნოი და კარპოვი".

„აბა, მაშინ თქვენი იეროგლიფების არაფერი მესმის".

ლენინგრადელი ტელეტაიპისტი ქალისთვის სრულიად უცნობი იყო საჭადრაკო ნოტაცია და, როგორც ჩანს, იგი რამდენიმე წუთით მარტო დატოვეს.

### ვინ სად მიიჩქარის?

მატჩის მეორე პარტიამ ორ საათზე ნაკლებ ხანს გასტანა. გაიმარჯვა კარპოვმა. აქვე პრეს-ცენტრში ტელევიზიით დაიწყო საბჭოთა კავშირისა და კანადის ჰოკეისტთა შეხვედრის რეპორტაჟი.

— მონაწილენი ალბათ ტელევიზორის საყურებლად მიიჩქაროდნენ, — შენიშნა ერთ-ერთმა ჟურნალისტმა.

— იქნებ კორჩნოის აგვიანდებოდა კიდეც, მაგრამ ვფიქრობ, კარპოვს ფიშერთან მატჩზე ეჩქარება, — იხუმრა მეორემ.

### კოტოვმა იჩქარა

პრეს-ცენტრში დადგმული ტელევიზორების ეკრანებით შეიძლება დაფაზე შექმნილი პოზიციის ხილვა. ზოგჯერ ერთ-ერთი ტელევიზორი სხვა არხზე გადაჰყავთ იმისთვის, რომ სპორტული ამბები გაიგონ. მეოთხე პარტიის დროს ჩართეს ინფორმაციული პროგრამა „ვრემიასთვის" ფირზე ჩაწერილი დიდოსტატ ა. კოტოვის გამოსვლა. გარშემო ხარხარი ატყდა, როცა კოტოვმა გამოაცხადა, კარპოვს უკეთესი შანსები აქვსო. სწორედ ამ დროს ახალგაზრდა დიდოსტატს ყაიმის მისაღწევად ძნელი ბრძოლა უნდა ეწარმოებინა. კოტოვი კი იქვე იჯდა და სინანულით შესცქეროდა თავის გამოსახულებას ეკრანზე.

### ყაიმი სხვანაირად

მსოფლიო ექს-ჩემპიონი ტ. პეტროსიანი პრეს-ცენტრში V პარტიას არჩევდა და როცა მრავალგვარი ვარიანტების გარჩევით გადაიღალა, დაფაზე ფიგურები გადახვეტა და თქვა: „მე კარპოვზე მარტივად მივაღწევდი ყაიმს".

### გელერი აქ — გელერი იქ

ოსტატი ა. გელერი ლენინგრადის პრესის ერთადერთი წარმომადგენელია მოსკოვში. მას წამდაუწუმ სთხოვენ ტელეფონთან. მაგრამ, ამასთან დაკავშირებით, ხელი ემლება დიდოსტატ ე. გელერს — ა. კარპოვის სეკუნდანტს. სვეტებიანი დარბაზის ხან ერთ ბოლოში, ხან მეორეში მას ძალიან ხშირად ტელეფონთან სთხოვდნენ შეცდომაში შეყვანილი პრეს-ცენტრის ტექნიკური მუშაკები.

### აქვს თუ არა კარპოვს ნერვები?

როცა VI პარტიაში მოგებული მდგომარეობისა და მეტოქის ძლიერი ცაიტნოტის დროს კარპოვმა სწრაფად გააკეთა სვლების მთელი სერია, ერთ-ერთი ჟურნალისტი მივიდა კარპოვის სეკუნდანტთან ს. ფურმანთან და კითხა:

— მითხარით, დიდოსტატო, რატომ თამაშობს ასე სწრაფად ტოლია კორჩნოის ცაიტნოტში, ნუთუ მას ნერვებმა უმტყუნა?

— რა ნერვები, რის ნერვები! — უპასუხა ფურმანმა. — მას არა აქვს ნერვები, უბრალოდ, ჯერ კიდევ ბავშვია და მხოლოდ პარტიის დამთავრება უნდოდა სწრაფად.

(ჩვენი სპეც. კორ.). მოსკოვი.

# გვიან საღამომდე



— ამ საღამოს ყველა გადადებული პარტია დამთავრდა, ცხრილიც შეივსო და მონაწილეთა სატურნირო მდგომარეობაც გაირკვა. ხუთშაბათს შევისვენებთ და ახალ სამუშაო კვირას მეტი ინტერესით შევუდგებით, — თქვა გუშინწინ ჩემპიონატის მთავარმა მსაჯმა, საერთაშორისო არბიტრმა ო. ტომსონმა.

მონაწილენი რვა დღეში ხუთ ტურს თამაშობენ: ზედიზედ ატარებენ სამ ტურს, მერე გადადებულ პარტიებს ამთავრებენ, შემდეგ კიდევ ორი ტური და გადადებული პარტიების დამთავრება აქვთ, მერვე დღეს კი ისვენებენ.

პირველ „სამუშაო კვირაში" მხოლოდ ცხრა გადადებული პარტია დაგროვდა. ისიც ორში შედეგი თამაშის განუახლებლად გაირკვა: ტ. ფომინა (ტალინი) დანებდა ე. ფათალიბეკოვას (მოსკოვი) და თ. ხუგაშვილი (თბილისი) — მ. შულს (ლვოვი).

ორი პარტია დაამთავრა ახალგაზრდა მინსკელმა ტ. კოსტინამ. მან ხუგაშვილს სძლია და შულთან წააგო.

ტ. პოპოვა (მოსკოვი) ამაოდ ცდილობდა ზედმეტი პაიკის რეალიზებას ეტლების ენდშპილში ა. კისლოვასთან (ომსკი). 65-ე სვლაზე კისლოვამ ზუსტი დაცვით ყაიმს მიაღწია. ყაიმით დამთავრდა, აგრეთვე, მ. ჩიბურდანიძე (თბილისი) — თ. გოლოვეის (მინსკი) შეხვედრა. მეტოქეები თითქმის 20 სვლის მანძილზე შეუპოვრად ეძებდნენ მოგების შანსს.

მერე გოლოვეიმ განაახლა თამაში პიატიგორსკელ ვ. კოზლოვსკაიასთან. თუმცა პარტია გვიან საღამომდე გაგრძელდა და ყველაზე ბოლოს დამთავრდა, გოლოვეიმ მაინც ვერ გამოიყენა ზედმეტი პაიკი. კოზლოვსკაიამ კონტრთამაში ისე მოხერხებულად ააგო, რომ მისი მეტოქე ტყუილად გაისარჯა. 64-ე სვლაზე მეტოქენი დაზავდნენ.

თამაშის განახლებისას მ. რანიკუმ (ტალინი) შეინარჩუნა ა. გრინფელდის (კალინინგრადი) ბანაკში მეჭრილი პაიკი. ლაზიერების გაცვლის მერე მას თამაში ეტლების ენდშპილში მოუხდა და 89-ე სვლაზე გაიმარჯვა.

ნ. მედიანიკოვამ (მოსკოვი) 77-ე სვლაზე დაამარცხა მ. სამული (ტალინი).

5 ტურის შემდეგ მონაწილენი სატურნირო ცხრილში ასე განლაგდნენ: ე. ფათალიბეკოვა — 5 ქულა, მ. შული, მ. რანიკუ — 3,5-3,5, ნ. მედიანიკოვა, ა. კისლოვა, ტ. კოსტინა — 3-3, მ. სამული, ა. გრინფელდი, თ. გოლოვეი, ც. კობაიძე, ტ. პოპოვა, მ. ჩიბურდანიძე, ვ. კოზლოვსკაია, ლ. მულენკო (ზაპოროჟიე) — 2,5-2,5, რ. ბილუნოვა (მოსკოვის ოლქი) —1,5, ტ. ფომინა, ტ. მოროზოვა (ლვოვი) — 1-1, თ. ხუგაშვილი, ე. ბახრეხი (მოსკოვი) — 0,5-0,5.

თ. გიორგაძე.

# „რეალი", „რეინჯერსი", „ტოტენჰემი" — ყველა დროის ლიდერები"

**ფეხბურთი**

როგორც ცნობილია, გუშინ ევროპის საკლუბო ტურნირების დიდი დღე იყო: გაიმართა ჩემპიონთა თასისა და თასების მფლობელთა თასის გათამაშებათა მერვედფინალის მეორე წრის შეხვედრები, აგრეთვე, უეფა-ს თასის გათამაშების ოცდამეთორმეტედფინალის განმეორებითი მატჩები. ამ შეხვედრათა შედეგებს უახლოეს ნომერში მოგაწვდით, დღეს კი ზემოაღნიშნული სამივე ტურნირისადმი მიძღვნილ საინტერესო ცხრილებს გთავაზობთ. აქ მოყვანილი ციფრები გვაცნობს ყოველი გათამაშების 10 საუკეთესო გუნდის შედეგებს თითოეული შეჯიბრების მთელს ისტორიაში (ცხრილებში შეტანილი არ არის ამჟამად მიმდინარე ტურნირების შედეგები).

ეს ცხრილები კატოვიცეს გაზეთმა „სპორტმა" (პოლონეთი) გამოაქვეყნა ასეთი სათაურით: „რეალი", „რეინჯერსი", „ტოტენჰემი" — ყველა დროის ლიდერები".

### ჩემპიონთა თასი (1955-1973 წ. წ.)

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „რეალი" (მადრიდი) | 103 | 64 | 13 | 26 | 276—118 | 141 |
| „ბენფიკა" (ლისაბონი) | 78 | 41 | 17 | 20 | 175—90 | 99 |
| „აიაქსი" (ამსტერდამი) | 51 | 31 | 9 | 11 | 92—46 | 71 |
| „სელტიკი" (გლაზგო) | 52 | 30 | 10 | 12 | 104—44 | 70 |
| „მანჩესტერ იუნაიტედი" | 41 | 26 | 7 | 8 | 100—45 | 59 |
| „აკ მილანი" | 44 | 26 | 5 | 13 | 116—59 | 57 |
| „ინტერნაციონალე" (მილანი) | 41 | 23 | 10 | 8 | 63—30 | 56 |
| ცსკა (სოფია) | 46 | 20 | 7 | 19 | 79—77 | 47 |
| „დუკლა" (პრაღა) | 37 | 19 | 8 | 10 | 67—49 | 46 |
| „ფეიენოორდი" (როტერდამი) | 33 | 18 | 8 | 7 | 78—35 | 44 |

### თასების მფლობელთა თასი (1962-1973 წ. წ.)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| „გლაზგო რეინჯერსი" | 38 | 20 | 7 | 11 | 69—47 | 47 |
| „აკ მილანი" | 28 | 16 | 10 | 2 | 45—17 | 42 |
| „ატლეტიკო" (მადრიდი) | 27 | 17 | 6 | 4 | 56—23 | 40 |
| „სპორტინგი" (ლისაბონი) | 29 | 14 | 7 | 8 | 66—38 | 35 |
| „კარდიფ სიტი" | 33 | 12 | 11 | 10 | 48—33 | 35 |
| „ბაიერნი" (მიუნჰენი) | 25 | 13 | 9 | 3 | 44—21 | 35 |
| „სლოვანი" (ბრატისლავა) | 21 | 12 | 3 | 6 | 35—21 | 27 |
| „სელტიკი" (გლაზგო) | 16 | 12 | 1 | 3 | 34—10 | 25 |
| „ოლიმპიკი" (ლიონი) | 22 | 10 | 5 | 7 | 31—25 | 25 |
| „სტიაუა" (ბუქარესტი) | 24 | 9 | 7 | 8 | 25—33 | 25 |

### უეფა-ს თასი (1971-1973 წ. წ.)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ტოტენჰემ ჰოტსპური" (ლონდონი) | 34 | 22 | 8 | 4 | 78—19 | 52 |
| „ფეიენოორდი" (როტერდამი) | 18 | 11 | 3 | 4 | 51—23 | 25 |
| „ვულვერჰემპტონ უონდერერსი" | 16 | 11 | 3 | 2 | 35—15 | 25 |
| „ვიტორია" (სეტუბალი) | 22 | 10 | 3 | 9 | 25—18 | 23 |
| „ბორუსია" (მიუნჰენი) | 12 | 10 | 1 | 1 | 36—12 | 21 |
| „იფკ კიოლნი" | 18 | 8 | 3 | 7 | 34—23 | 19 |
| „ლივერპული" | 12 | 8 | 2 | 2 | 19—6 | 18 |
| „ტვენტე" (ენსხედე) | 16 | 8 | 1 | 7 | 38—20 | 17 |
| ოფკ (ბელგრადი) | 16 | 6 | 4 | 6 | 26—31 | 16 |
| „აკ მილანი" | 10 | 6 | 2 | 2 | 22—9 | 14 |

ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშებაში მადრიდის „რეალს" უდავოდ ეკუთვნის „ჩემპიონობა" — ეს გუნდი ექვსჯერ ფლობდა თასს, თანაც ეს საპატიო პრიზი ზედიზედ ხუთჯერ მოიპოვა. მადრიდელთა წარმატებაში განუზომელი წვლილი შეიტანა უბრწყინვალესმა ფეხბურთელმა ალფრედო დი სტეფანომ, რომელსაც სპეციალისტთა საკმაოდ დიდი ნაწილი პელეზე მაღლა აყენებს.

თვალსაჩინო წარმატებები აქვს მოპოვებული ამსტერდამის „აიაქსს" — იგი სამჯერ დაეპატრონა თასს. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ „აიაქსი" ალბათ ერთადერთი გუნდია, რომელსაც ძალუძს „რეალ-მადრიდის" რეკორდის გამეორება.

ორ-ორჯერ მოიპოვეს თასი „აკ მილანმა", მილანის „ინტერნაციონალემ" და ლისაბონის „ბენფიკამ".

თასების მფლობელთა თასისა და უეფა-ს თასის გათამაშებების ცხრილებიდან ჩანს, რომ ამ ტურნირებში განსაკუთრებული წარმატებით ბრიტანეთის გუნდები ასპარეზობენ. ჩამოვთვალოთ ისინი: „გლაზგო რეინჯერსი", „კარდიფ სიტი", „სელტიკი" (გლაზგო), „ტოტენჰემ ჰოტსპური" (ლონდონი), „ვულვერჰემპტონ უონდერერსი", „ლივერპული".

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ „აკ მილანი" ერთადერთი გუნდია, რომელმაც სამივე ათეულში პოვა „თავშესაფარი".

## ვინ დაამხობს მადრიდელთა რეკორდს?

**მიუკანელებიც რეკორდსმენები არიან**

## ახლა — ნახევარი ქულით

როგორც 1 ოქტომბრის ნომერში ვიუწყებოდით, კოლუმბიის ქალაქ მედელინში მოჭადრაკე ქალთა მსოფლიო ოლიმპიადის ფინალური ეტაპის 6 ტურის შემდეგ სსრ კავშირის ნაკრები მხოლოდ IV ადგილზე იყო: იგი 2 ქულით ჩამორჩებოდა დაწინაურებულთ — ბულგარეთისა და უნგრეთის ეროვნულ გუნდებს, რომლებსაც 10-10 ქულა ჰქონდათ. მომდევნო ორ ტურში საბჭოთა მოჭადრაკეებმა აშკარად გამოიკეთეს მდგომარეობა: ახლა მათ მხოლოდ ნახევარი ქულა აშორებთ ლიდერისგან — უნგრეთის ნაკრებისგან, რომელსაც 12,5 ქულა აქვს.

III-IV ადგილებზე არიან ბულგარეთისა და რუმინეთის კოლექტივები — 11,5 ქულა თითოეულს. შემდეგ მოდიან: ჰოლანდია — 9, ჩეხოსლოვაკია — 7,5, იუგოსლავია — 6.

VIII ტურში საბჭოთა მოჭადრაკეებმა გფრ-ის გუნდს სძლიეს — 2:0. ასეთივე ანგარიშით უნგრელებმა მოუგეს ჰოლანდიელებს, ხოლო რუმინელებმა — ბულგარელებს. ჩეხოსლოვაკიისა და ინგლისის გუნდების შეხვედრა ყაიმით დამთავრდა — 1:1.

რედაქტორი მ. ჰაჰანაძე.

**4 ოქტომბერს**

„ბურევესტნიკის" რესპუბლიკური საბჭო საქართველოს პროფსაბჭოს შრომის სახელის სააქტო დარბაზში (გრიბოედოვის ქ. № 19) ატარებს თავის III პლენუმს.

დღის წესრიგი: 1. „ბურევესტნიკის" რესპუბლიკური საბჭოს მუშაობის შედეგები და სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადისა და XXI ოლიმპიური თამაშებისთვის მზადებასთან დაკავშირებული ამოცანები.

2. საორგანიზაციო საკითხები.

დასაწყისი 11 ს.

**თბილისის სპორტის სასახლე**

ჭადრაკი. ჭადრაკის სასახლე (ლენინის ქ. № 37). მოჭადრაკე ქალთა XXXIV საკავშირო ჩემპიონატის ფინალი. 3-26 ოქტომბერი. 3 ოქტომბერს შედგება VI ტური, 4-ში — VII, 5-ში — VIII, 6-ში — გადადებული პარტიების დამთავრება. დასაწყისი 16 ს. 30 წთ.

**„ლოკომოტივის" სტადიონი**

(ი. ჭავჭავაძის პრ. № 74)

**სსრ კავშირის ჩემპიონატი**

**უმაღლესი ლიგა**

„დინამო" (თბილისი) — „დინამო" (მოსკოვი)

**5 ოქტომბერს**

სათადარიგო შემადგენლობანი

**6 ოქტომბერს**

ძირითადი შემადგენლობანი

მატჩების დასაწყისი 16 ს.

ბილეთები წინასწარ გაიყიდება აბონემენტებზე 5 ოქტომბერს; საერთო გაყიდვა — 6 ოქტომბერს 10 საათიდან სტადიონის სალაროებში.

ИНДЕКС 66448

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 02848